ახალი ხანა ქართულმეცნიერებაში

პრ. იოანე ჯავახიშვილის მოხსენება

მიმდინარე თებერვლის 10-ს საისტორიო საზოგადოებაში და ხელმძღვანელობით 18-ს პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება მის მიერვე აღმოჩენილ უძველეს ქართულ ხელნაწერებისა და, ამასთან დაკავშირებით, ქართ. დამწერლობის ისტორიის შესახებ. ისე, როგორც ქართ. ისტორიოგრაფიის ყველა დანაბრენ დარგში, ამ შემთხვევაშიაც, სახელოვანი მეცნიერი მოგვცემია საზოგადოებას, როგორც ფუძემდებელი უმნიშვნელოვანესი დისციპლინის—ქართ. პალეოგრაფიისა. პატივცემულ მკვლევარის მიერ აღმოჩენილი ფაქტები და მათი მეცნიერული გაშუქება უთუოდ საკმაებით ახალ ხანას ქმნიან ქართულ მეტყველებაში და მოწმობენ იმ დაუშრეტ ენერგიის, რომლითაც აღტერვილია ეს ადამიანი. ვეცდებით მოკლედ გადმოვცეთ მოხსენების შინაარსი.

ქართ. პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა, მიუხედავად მათის უდიდესი მნიშვნელობისა ქართ. ისტორიოგრაფიისათვის, დღემდის მეტად სუსტად იყო დამუშავებული. მასალა ამისათვის აუარებელია, ქართ. ანბანის განვითარების სქემა მოკლედ ასეთია: მთავარული ხუცური, ე. წ. ნუსხა ხუცური და მხედრული. თვითეულ ამ დამწერლობათაგან თავისი სახეცვლილებანი და თავისი განვითარების ..საფეხურები აქვს.

ასე მაგ., ჩვენ საკუთრით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხედრული თანდათანობითი განვითარება ნუსხა ხუცურიდან, რომელიც თითქმის ხუთი საუკუნის სიგრძეზე წარმოებს (მე-XI და მე-XVI ს.). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ასომთავრული, ამ უძველესი ქართ. დამწერლობის განვითარება. ამ დამწერლობის უძველეს ნიმუშს დღემდის ფულების ზედწერილები და კედლის ნაკაწრები წარმოადგენდა.

ზედწერილები სულ რამდენიმე ასოს შეიცავენ, გაცილებით უფრო ვრცელი და საკვლევლები ტექსტის მატარებელნი არიან წარწერები. ამ უკანასკნელთა (ბოლნისის სიონის წარწერა—მე-VI ს. და ჯვარის საკვდავის წარწერა მე-VII ს.—ის პირველ მეოთხედისა) შესწავლა საგულისხმიერო დასკვნებს იძლევა. ამ მეოთხედში შეკეთებითი დაკვირვება არკვევს, რომ ასო ჩ—ანი მე-VI ს-ში **თავშეკრული იყოფება** (ბოლნისის წარწერა), ხაშინ როცა უკვე **მეშვიდე ს—ის დასაწყისში ეს თავი გახსნილი აქვს.** თავშეკრული მოპაზულობა ვ—იესი და ყ—ალისა დამახასიათებელია ორივე ძეგლისათვის.

მეტად საკვირველია, რომ შეკრულ ასოების ასეთი თანდათანი თავის გახსნა დამახასიათებელია სხვა ეროვნის (განსაკუთრებით ხეთაანთ მოდგმის სხვა და სხვა ტომის) დამწერლობისათვისაც. ამავე დროს ეს ჩვენი უძველესი ძეგლებიც კი **მრგვლოვან** (ე. ი. რგვალი თავაზილობის) დამწერლობას ეკუთვნიან, ხაშინ როცა ცხადია, რომ ყველა ძველი ანბანი, თავის წარმოშობისის, **კუთხოვანი** ფორმისაა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენთვის ცნობილს ხანაში ქართ. დამწერლობა ვითარდებოდა სწორედ იმ კახინების მიხედვით, რომელნიც „მოკმეებდენ სხვა ეროა დამწერლობის გასვითარებაზედაც, სრული უფლება გვაქვს, უკვეცვითი ძეგლების საშუალებით დავასკვნათ, რომ ეს განვითარების გზები ყინა დროებშიაც ანალოგიური უნდა ყოფილიყო და ქართ. ანბანის თავდაპირველი მოხაზულობა **კუთხოვანად** უნდა წარმოიდგინოთ.

ამ საკითხების რაკვლის მიგვეგორთ ქართ. ანბანის წარმოშობის პრობლემასთან. აქ უკვე დიდი სიფრთხილეა საჭირო მკვლევარისათვის, სანამ ჩვენ **ჯერ კიდევ** არა გვაქვს ქართ. დამწერლობის **უძველესი ძეგლები**, თუმცა მაინც შესაძლებელია საკმაოდ სარწმუნო ჰიპოთეზის წარმოდგენა.

როგორც ვიცით, ამ საკითხის გარშემო საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს და იგი ძველადაც ცხოველი ინტერესის საგანი იყო. ამ ინტერესის ნაყოფია ორი ეროვნული თეორია: ეროვნი—ქართული, ქართ. ისტორიკოსის, ლეონტი მროველისა და მეორე სომხური წყაროებიდან მომდინარე. ლეონტი მროველის მოწმობათა, ქართ. ანბანი „ფარნავაზ მეფემ მოიგონა, სომხური თეორია კი ქართ. ანბანის შედეგნას, სომხ. ანბანთან ერთად, მესროპს მიაწერს...

ამ უკანასკნელი ცნობის პირველ წყაროდ სომეხი ისტორიკოსი კორიუნი ითვლებოდა, მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ კორიუნის თხზულების უძველეს რედაქციაში არაფერი არ არის ნათქვამი ქართ. ანბანის მესროპის მიერ გამოგონების შესახებ და ეს ცნობა შემდეგ დროებში უნდა იყოს შეთხზული. მაინც სომხური თეორიის ახალ დროებშიაც ბევრი მომხრე ჰყავდა, თუმცა თავისთავად ცხადი იყო, რომ ეს მოთხრობა მითის წარმოადგენდა, რადგან სრულებით დაუკვირებელი იყო ორი დამთავრებული ანბანის ერთი პირის მიერ შექმნა იმ ხანებში, მით უმეტეს, რომ ქართ. და სომხ. ანბანები ბაყფოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ფორგით, ისე მოხაზულობით. ამ გარემოებას წინადაც მიაქციეს ყურადღება, მაგრამ განსაკუთრებით ცხადეო სომხური თეორიის წინააღმდეგობანი გერმანელმა მეცნიერმა **გარტმაიუზენმა**, რომელმაც უძღვნა ამ საკითხს სპეციალური საეურადღებო გამოკვლევა.

მაგრამ გარტმაიუზენმა ის შეცდომა დაუშვა, რომ ქართ. ანბანის პირველ წყაროდ ბერძნული ალფაბეტი მიიჩნია და იფიქრა, რომ ბერძ. ასოების ქართ. ბგერათა „გამოსახატავად გამოყენება მეთეთე საუკუნეში უნდა მომხდარიყო ქ. შ. ამ ახალის მიღება შეუძლებელია, რადგანაც ბერძნ. ალფაბეტის ზოგიერთი ასო, რომელთაც ქართულში თავისი შესატყვისობა მოეპოვებათ და რიგშიაც ერთი და იგივე ადგილი უჭირავთ, გამოსული იყო ხმარებიდან ბერძნულში ჯერ კიდევ მე-VII ს-ში ქ. წ. ეფრო საფიკოებელია, რომ ქართული ანბანი წარმომობილი უნდა იყოს სემიანთა თიდგის ერთ-ერთი ტომის დამწერლობიდან, რომელსაც თავის მხრივ ივივე ფინიკიური, ან მისი შემდეგ დროიდელი სახეცვლილება, არაძველი დამწერლობა ედო საფუძვლად. ქართ. ანბანის წარმოშობის დროც ორა ერთი და ორი საუკუნით ეხება დაბალდეს ქართ. დამწერლობის თვით უძველეს შენახულ ნიმუშების თარიღსაც. ამას გვაფიქრებინებს ის ზემომოხსენებული გარემოება, რომ ქართ. დამწერლობა თავდაპირველად კუთხოვანი უნდა ყოფილიყო, ხაშინ როცა უკვე მეექვსე საუკუნეში ქართ. ასოები საკუთრით დასრულებული სახე და მრგვლოვანი მოყვანილობა აქვთ.

ამის შემდეგ მოხსენებელი გადაეცა მის მიერ აღმოჩენილ ძეგლების დახასიათებაზე. ქართ. მწერლობის ეს უძველესი ნაშთები ადგილობრივ საგანძურებში იხახება და წარმოადგენენ ეტრატის პალიმფსესტებს, ე. ი. შეიცავენ ახალ ტექსტს ძვ. გადარეცხილ ტექსტზე დაწერილს. ასეთი პალიმფსესტის წაკითხვა ძნელად ეკადიდებელ შეშის შემწეობით დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ძნელად ისეთ არაჩვეულებრივ ენერგიის პატრონს, როგორიც არის ივ. ჯავახიშვილი, შეეძლო, სულ მოკლე დროში, 50 გვერდამდის წაეკითხა ეს უნიშვნელოვანესი ტექსტები.

ორი ფურცელი ასეთი პალიმფსესტისა, ოქსფორდის უნივერსიტეტის საკუთრება, დაბალების ტექსტის (იერემია) შემცველი, გამოსცა პროფ. ყოველკოვმ, მაგრამ მხოლოდ ეხლა იქმნა წაკითხული პროფ. ჯავახიშვილის მიერ.

ადგილობრივი პალიმფსესტები სხვა და სხვა სასალოების ტექსტს შეიცავენ (სახ. ლიტ., ამავრიოული საქმე მოკიქულია და სხვ.).

როგორც აღნიშნეთ, ისე ადგილობრივი პალიმფსესტების ძველი ტექსტი დაწერილია ასომთავრულით, რომელშიაც არა ბარტა ვ-ი და ყ-არი, არამედ ბ-ანი **თავშეკრული მოხაზულობისა** არის. ამით სრული უფლებანი მტკიცდება, რომ ეს ძეგლები **ეკუთვნიან დროის, არა უგვიანეს მეექვსე (VI) საუკუნისა.** გარემოება, რომელიც მათ დაუფასებელ მნიშვნელობას ანიჭებს. ხელნაწერების სიძველე მტკიცდება მათი ენის გასაოცარი არქაიზმებით. ეს არქაიზმი ენისა განსაკუთრებით ცხადდება ზმნის წარმოებაში: აქ ბაორე და მესამე პირის პრეფიქსებად მტკიცე ერთგვარობით და დასრულებით ითმარება ბ—ანი. მაგ.: ბეკურიდი მათ (=ეკურიდი მათ); ბესავთ მოლებასა (=ესავთ); ბადასებენ (=ეასებენ); ბნუ დიბსკვინი, რათა არა დიბისაკვნეთ, ბხედავთ, ბეტეკი ძმისა შენსა და სხვ. ლეონტიკის მეორე იოანეცა, რომ ეეტეკსე საუკუნის შემდეგ მეცხრე საუკუნემდის, რომელსაც ეკეთვნის ადიშის სახარება, ძვ. ქართულ თითქმის არაერთგვარი ცვლილება არ განუცდია. ამას ამტკიცებს პალიმფსესტებში შენახულ სახარების ტექსტის შედარება ადიშის ტექსტთან: სხვაობა მხოლოდ ორთოგრაფიულია (მაგ. ბ-ანის გაქრობა), ენის სიძველით უნდა აიხსნას ის გარემობა, რომ ასეთს ძვირფას ძეგლებს შეიდგენ თითეული ახალგაურებდენ: ათასეულს ეკეთ გაუგებარი იყო ამ ძველი გრამატიკული ფორმა-ხატებით დატვირთული ქართული.

როგორც ეკეთ ითქვა, აღნიშნული ძეგლების ფასიერებელია ფასდაუდებელია. ისინი სრულიად ახალ ხათელს ჰფენენ ჩვენი კულტურის ისტორიის ძირითად საკითხებს და ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მოხსენებელმა აღნიშნა ზოგიერთი დებულება, რომლებიც ახალ აღმოჩენილ ძეგლების შესწავლიდან გამომდინარეობენ:

1) საბოლოოდ ირკვევა, რომ **მეექვსე საუკუნისათვის დამდეგის ქართული თარგმანი ეკეთ შენარჩუნებული იყო.** ასევ ითქვა მარრის თეორია ბიბლიის ქართულ ენის მეშვიდე თუ მერვე საუკუნეში წარმოშობის შესახებ.

2) მტკიცდება, რომ ძველი და ახალი აღთქმა **თავდაპირველად** სწორედ **ქართულ ენაზე იყო თარგმნილი**, და არა სვანურზე, როგორც ამას ამტკიცობდა იგივე ნ. მარრი.

3) ქართ. ენაკავებისა საბწერლობო ენის თავდაპირველი დამოკიდებულება ამ ენა-ენებისადმი გვეკვლინება, რომელშიაც წარმოდგენილი იყო საღვთისმეტყველო ენისა და ლიტერატურის ეს გენეტიკური ურთიერთობა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართულ ენის ისტორიაში“: მტკიცდება, რომ ქართული საბწერლობო ენა წარმოადგენს ქართველ ტომთა კოლექტიურ შემოქმედების ნაყოფს; რომ თავდაპირველად ქართ. ენაკავები გაცილებით უფრო ახლო იდგნენ ერთმანეთთან, ვიდრე შემდგ დროებში; რომ ეს შემდეგ დროიდელი დაშორება შედეგია ისტორიული ეკონომიურობის, რომელ, ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ლიტერატურულმა ენამ ჩანთქა კილოები, ხოლო, მეორე მხრივ, კარჩაკეტილობის წყალობით, განაპირებზე ეროვნებიდან კიდემხრიდან ძველები. ამას მშვენიერად ამტკიცებს ბ-ანის პრეფიქსალური ხმარება ისეთ სხვადასხვა დროისა და ადგილის ძეგლებში, როგორც არის ჯვარის საყდრის და ბოლნისის წარწერები და ოქსფორდისა და ტფილისის პალიმფსესტები—გარემობა, მაჩვენებელი იმისა, რომ ეს ენა ბერძ. ფორმა საერთოა და საკვლევლო ნორმის წარმოადგენდა ძველი ქართველისათვის. და რომ ეს ბ-ანი საერთო იყო ბერძენ ენაკავებისთვისაც, ამტკიცებს მისი ლენინგრადელამდე არსებობა ორის, უკიდურესად ერთმანეთზე დაშორებულ, ქართულ ენაკავებ: სვანურსა და ხევსურულში. სალიტერატურო ქართულში და დანარჩენ დიალექტებში იგი გადაგვარდა ჯერ ჰ-აედ და შემდეგ სანად, ან სრულებით დაკარგა.

4) უმნიშვნელია ის შენიშვნელობა, რომელსაც ქართ. მწერლობისა და კულტურის დასაწყისი მეცხრე საუკუნეში წარმოადგენდა. ეს მოკლე ენა გაცილებით ეკან, ამ აღმოჩენამდის ბნელით მოცულ, საუკუნეებში გადადის. ამ საუკუნეებს ენა ფარდა ეხდება და სხვე ერკვევა. აღმოჩენილ ძეგლებში ყველაფერი ერის ბედზე ტექსტურ-ბიბლიოლოგიურ ფენილ-ფენილ დროებას ბმოწმობს: საკმაოთ ჩამოყალიბებული და მდიდარი ენა, დიდი და ლამაზი ასოები, საკუთრით ჩამოყალიბებულ და დამთავრებულ სახისა, საეკლესიოდ დამუშავებული ეტრატი, რომელსაც გადაწერი სრულებით არ იზოგავს „დამოლოს, სასვენი ნიშნების საკ საფეხურიანი სისტემა, რომელს ქართულ მწერლობაში პირველად დადგენებას დღემდის ჩვენ ეფრემ მცირეს ვაწერდით.

რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ამ ძეგლების მნიშვნელობა. ათი საკუთრით დიფასება მაშინ იქნება მხოლოდ შესაძლებელი, როცა ისინი მოლიანად იქნებიან წაკითხულნი (2,000 მეტს გვერდს შეიცავენ).

დასასრულ, მომხსენებელი გამოთქვამს რწმენას, რომ ახლო მომავალი კიდევ უფრო დიდი და მოულოდნელ შესაძლებლობათა წინამძღვარებელია და რომ ქართულ მეტყველებას ჯერ კიდევ მრავალი ახალი გამარჯვება ელის.

მოხსენებას ორივეგერ აუარებელი ხალხი დაესწრო. აუცილებლად საჭიროა, ჩვენი აზრით, ამ მოხსენების ხელახლა წაკითხვა უფრო ვრცელ დარბაზში, რომ იმათაც, ვინც ვერ ერთგერ ვერ მოახერხა მისი მოსმენა, საშუალება ქონდეთ გაეცნონ ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტებს.

საზოგადოებაზე მოხსენებამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა. ლექტორი მშრეველ ოვაციებით გაიცილეს.

Ს.

მინაწერი: მოხსენებას „რუბიკონში“ შენიშვნა გამოეფენია, რომელსაც, ჩვენის აზრით, თავის მხრივ ეპირვება შენიშვნა. წერილის ავტორი ამბობს, თითქოს მოხსენებელი ცდილიყვეს უარეყო ნ. მარრის „იაფეტიდოლოგიის მთელი ფილოლოგიური დისციპლინა“ და მისი „მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა“. ბამდეილად კი ივ. ჯავახიშვილი მარრის ხემოხსენებულ თეორიებს ეკამათებოდა და არაფერი ამის მსგავსი არ ეთქვამს. და რას უნდა გამოეწვია წერილის ავტორის მიერ ფაქტიური სინამდვილის დარღვევა, გაუგებარია.